

**რამდენიმე ლექსიკური ერთეული
ტაოური დიალექტიდან
SEVERAL LEXICAL UNITS
FROM TAO DIALECT**

მაია კიკვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი. საქართველო

Maia Kikvadze

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi. Georgia

ABSTRACT

The language, culture and traditions of the Tao residents are in the closest relationship with the Georgian language, culture and traditions of the inhabitants of the Chorokhi gorge: the Adjarians, Shavshians and Klarjians.

Several lexical items are presented for the analysis and compared with the lexical data of the Georgian language dialects.

The study of the Georgian language of Tao, already referred to as the Tao dialect, actively commenced at the end of the past century and still continues up to the present day. Georgian scholars show overwhelming interest in the country of Tao.

For the analysis, we have used the Tao materials collected in complex field expeditions by the Center for Kartvelology of Batumi Shota Rustaveli State University over the years. These materials clearly show the peculiarities of the speech of the Georgian part of Tao. The focus is on several word forms, their semantics, and similarities with the vocabulary of the Georgian language, such as *ħaviçi*, *ĉenĉi*, *kokri*, *modena*, *moterĵva*, *dajroma*, *kodva*, etc.

The lexical units currently preserved in Tao represent an integral part of the overall Georgian vocabulary.

საკვანძო სიტყვები: ქართული დიალექტოლოგია, ტაოური დიალექტი, დიალექტური ლექსიკა.

Keywords: Georgian dialectology, Taoian dialect, dialectal vocabulary.

ისტორიულად ტაოს ქვეყნის შესწავლა 1873 წლიდან დაწყებულია. დიმიტრი ბაქრაძეს, გიორგი ყაზბეგს, ექვთიმე თაყაიშვილს სხვადასხვა დროს უმოგზაურიათ ამ კუთხეში და ერთი რამ ცხადი იყო: ყველა მომდევნო ჩასვლაზე წინა ნანახი თუ გაგონილი წამლილი ხვდებოდათ. როგორც ამბობენ, „ბევრმა მაშინდელმა მექართულე სოფელმა წინაპართა ენა დაივიწყა“ (ტაო 2020: 6).

ტაოს ქართულის კვლევა, რომელსაც უკვე ტაოური დიალექტის სახელით მოიხსენიებენ, აქტიურად გასული საუკუნის მიწურულს დაწყებულია. ტაოელთა მეტყველება, კულტურა და ტრადიციები ერთგვარი გაგრძელებაა ჭოროხის ხეობის მკვიდრთა: აჭარლების, შავშელებისა და კლარჯების ქართულის, კულტურისა და ტრადიციებისა. აქ დღემდე დაცული ლექსიკური ერთეულები საერთო ქართული ლექსიკის ნაწილია, ყველაზე კარგად რომ შემოუნახავთ ტაოელებს. „ჭოროხის ხეობა ერთიანი კულტურული სივრცეა, ხოლო ტაო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი... მიწის ენა ადასტურებს, რომ ტაო ქართული ქვეყანაა!“ (ტაო 2020: 5).

ტაოს ქართულის შესწავლაში დიდია ქართველ მეცნიერთა დამსახურება. ამ მხრივ აღსანიშნავია შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული ექსპედიციების დიალექტოლოგიური მასალები და სხვა.

ჩვენი მოხსენებისთვის საანალიზოდ გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ 1995-2019 წლებში ისტორიულ ტაოში შეკრებილი დიალექტოლოგიური მასალები, რომლებიც შესულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში 2020 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ტაო“ (ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა).

დღევანდელ ტაოს მკვლევრები ორ ნაწილად ყოფენ: მექართულე ტაო და მეთურქულე ტაო. ჩვენთვის საინტერესო სწორედ მექართულე ნაწილის მეტყველებაა.

საანალიზოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს და შევუდარებთ მათ ქართული ენის დიალექტებისა და სამხრული კილოს სალექსიკონო მასალებს.

ტაოური დიალექტის ლექსიკის ერთ ნაწილს ქმნის სიტყვები, რომელთაგან ზოგი დადასტურებულია სულხან-საბასთან, ზურაბ სარჯველაძის ლექსიკონში, ზოგიც გვხვდება ქართული ენის დიალექტებში, მაგრამ ძალიან მწირად, თითქმის მიღევად პროცესთან გვაქვს საქმე. ამასთან, ტაოური ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა ზოგჯერ განსხვავებულია.

ხადწი < ხავიწი – კერძია ერთგვარი, ნაღებითა და ფქვილით შემზადებული: „ქადა გამუაცხოზ, ხადწი გააკეთებ“ (ხევეცი). **ხავიწი** დასტურდება სამხრულ კილოებში, კერძოდ, შავშურში **ხავიწი** არის პურის ფქვილისაგან დამზადებული ფაფა: „ხავიწი მაადულებ“ (ჩაქ.). **ხავიწი** კლარჯულში პურის ფქვილის ფაფაა, ერბოთი: „ხავიწი დედემ ბევრი შეჭამდა“ (მაამურიე). შდრ. **ხავიწი** – ნაღებში ან ერბოში მოთუშული ფქვილით მომზადებული საჭმელი. ხავიწი კეთდება ნაღებით: „ხავიწის ფაფას მიართმენ ქალსა, ბაღანა რომ ეყოლება“ (ქდკ იმერხევი, ფუტკ.). **ხავიწი** დადასტურებულია ინგილოურ ლექსიკონშიც, იგივეა, რაც მუშმუშაძე „ერბოში მოხარშული ფქვილიანი საჭმელი, ღომივით აკეთებენ“ (ქდკ კაკური მეტყველება). განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ხავიწს თუშურში.

ხავიწი ერბოში მოხრაკული ნედლი ხაჭოა: „ხავიწი და ქუმელი ძალიანაც უხდება ერთიმეორეს“ (ქდკ).

სრულიად განსხვავებულია **ხავიწი** სემანტიკითაც და მომზადების წესითაც გურულში. იგი ყურძნის წვენისა და პურის ფქვილისაგან დამზადებული ფაფაა. იშვიათია ხავიწი, რომელიც მზადდება თაფლითა და ღომის ფქვილით. ორივე შემთხვევაში ხავიწს საგანგებოდ მიაერთმევენ მელოგინე ქალს.

როგორც ჩანს, ტაოურის **ხაძი** და ინგილოურის **ხავიწ** ყველაზე ახლოს დგას კლარჯულში დადასტურებულ **ხავიწთან**, რომელსაც ერბოთი ამზადებდნენ, ანუ, რომელშიც ცხიმი უნდა ყოფილიყო. იმავე სემანტიკითაა **ხავიწი** თუშურშიც. განსხვავებულია **ხავიწის** მნიშვნელობა გურულში: იგი ყურძნის წვენისგან კეთდება და უცხიმოა.

ჰენჭი – ცხიმი > ჰენჭიანი. ხაძი ჰენჭიანია, ლულუკი – უჰენჭი (ხევეკი). ლულუკი შეჭამანდია ერთგვარი, მაწვნითა და ფქვილით შემზადებული. შდრ. **ჰენჭი** – ცხიმი: „ბიში შეწუა დუმის ჰენჭში“ (ქდკ ინეგ. ფუტკ.); **ჰენჭი** არ იძებნება შავშურსა და კლარჯულში. შდრ. ქიზიყურში: **ჰენჭი** – ცოტა ცხიმი, სიმსუქნე: „ჰენჭი მაიკრა – ცოტათი გასუქდა“. ცხიმი, ქონია **ჰენჭი** ქართლურშიც: „ისეთი ქათამი დოუკალი, რო სუ ჰენჭი გასდიოდა“ (ქდკ ტყვიავი). იმავე ქართლურში **ჰენჭი** განსხვავებული სემანტიკისაა და „ოფლს“ ნიშნავს: „ჰენჭი გადადის შუბლზე, რამდენი ურბენია“ (ქდკ ტყვიავი). აღნიშნული ლექსიკური ერთეული დადასტურებულია „ჩვენებურების ქართულშიც“, ლივანის ხეობაში, სოფელ ქართლაში: „არი ქომო სოფელი, ზომო სოფელი, ზეგანი, ბოსლოვანი, ცხადავრი, ცხილვანი, გიორგისწმინდა, ბარი, ნამოხვარი, გორიყანა, ჭა, ბარდნალი, ბლიძირი, ნაფოზარი, კილდიანი, ჰელეთა, სატურე, ვაკე ვენახი, ჰედლაგრი, ჰიტავრი, საცერავი, კუარმიკალო, ნასელვარი, თოჯინეთი, ნასაყი, ბოსტნები თავი, მინდორი, წყარო, ქოცანახეთი, გორიყანა, ყრუ ყანა, კოძირი, ცხლოვანი, ჰენჭი კალო, ლეკთა, ნანალიევი, საბადური“. დასახელებულ სიტყვებს და მათ შორის **ჰენჭს** არაფერი საერთო არა აქვს ცხიმთან.

ჰენჭი დღესაც გამოიყენება გურულში, უფროსი თაობის მეტყველებაში. თავზე უნდა მუართვა ჰენჭი სისუქნე (ქდკ გურ. ლანჩხუთი, შუხუთი); ინდოურის ნახარჩა წყალს გადმევიღეთ გობზე, უნდა ჰენჭი (ქდკ გურ., ჩოხატაური, ბუკნარი). **ჰენჭის** განსხვავებული მნიშვნელობა – „მცირედი ოფლი“ გურულშიცაა დადასტურებული.

ტაოურ დიალექტში დღემდე ჩანს ძველი, არქაული ლექსიკის კვალი.

კოკრი – შემოუსვლელი, უმწიფარი: „სხალი ჯერ კოკრია, არ შეიჭმება (ფიშნარკევი); შდრ. სულხან-საბა: **კოკობი** – გაუშლელი ყვავილი; შდრ. ქეგლ: **კოკორი** – (კოკრისა) – 1. საყვავილე კვირტი; გაუშლელი ყვავილი; კოკრობა: „კოკრობა (კოკრობისა) წიგნ. კოკრად ყოფნა (ვარდისა), – გაუშლელიობა, სინორჩე. || კოკრად ყოფნის დრო. „განთიადით ღამემდე შევფრფინვიდი **კოკრობას**. მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობდი დაჭკნობას!“ (ნ. ბარათ.). შდრ. ქდკ: „დამყნობა ხდება კოკრობის დროს“ (მთიულურ-გუდამაყრული); შდრ. ვარდის **კოკორი** = გაუშლელი ვარდი. კოკორს ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ზემოიმერულში

კოკორი იგივეა, რაც კვერი და პურის ცხოვრებას უკავშირდება: „პატარა პურს ქვია კოკორი“ (ქდკ). ტაოურის **კოკორის** მნიშვნელობა ახლოსაა ლექსებთან: გაუშლელი, ნორჩი იმ განსხვავებით, რომ **კოკორი** ითქმის უმწიფარ ხილზე, კერძოდ, მსხალზე.

მოდენილა – მოსულა: „ვინც დაჭკვიანდა, აქ მოდენილან, ვინც არა, ბალახში დამჩალან“ (ფიშნარხევი).

მოდენილი – გაფანტული: „გურჯები ბევრნი არიან მოდენილი“ (ხევეკი); **მოდინდება** დადასტურებულია „ჩვენებურების ქართულშიც“, ინგოლის მეტყველებაში, კერძოდ, სატრფიალო შაირებში (=წყალი მოედინება). შაირებში ჩვენთვის საინტერესო ორი ლექსიკური ერთეული შეგვხვდა: **ხავიწი** და **მოდინდება**: „დილას ვჭამე ხავიწი, ჰად'ნა წევდე, არ ვიცო. დილას ავდექ, დილა იყო, საყუარელი შინ არ იყო... წყარო წყალი მოდინდება, არ ეტევა ღარაზეო, შენი ჩემი სიყუარული არ ეიწონვის ღარაზეო“.

მოდენა შავშურში „მორწყვას, წყლის მოტარებას“ ნიშნავს: „წყალი მოადინო ბოსტანში“ (ნიოლ.).

ლექსიკური ერთეული **მოდინვიდა** ჩვენ დავადასტურეთ რიზეს ფაზარის რაიონის სოფელ ჰამიდიეს ქართულშიც, კონკრეტულად, ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში (რ. სალინაძე, მ. კიკვაძე, 2015 წელს ჩაწერილი ტექსტები).

ერთ-ერთი მუჰაჯირი ქართველის, ამიეთ ფასიოლლუს განმარტებით, ჰამიდიეს ადრე ესქი ტრაბიზანი რქმევია. ჩვენს შეკითხვაზე – რატომ ესქი ტრაბიზანი-თქო, „არ ვიცო, ტრაბზონთან ახლო იყო“ – გვითხრა. იგი აშკარად ვერ იხსენებდა ჰამიდიე-ტრაბიზანის ისტორიას, მაგრამ ძირძველი ქართველის ნაამბობში საინტერესო რამ გამოიკვეთა; მისი ნათქვამი დაემთხვა ჰამიდიელ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლის, ახმედ მემარნის (ერდოღანი) ნათქვამს eski trabzan-თან დაკავშირებით. „სხვაგან იტყოდენ „გურჯი ქოიში მივალთ“ (იგულისხმება ართვინში, ბორჩხაში...). აქ eski trabzan-შიო“: „ქვევიდან წყალს ჩახლახით (ჭახრაკით) ეზიდვებოდნენ. მოდინვიდა დუვარის ქვეშ წყალი (=მოედინებოდა კედლის (ფერდობის) ქვეშ წყალი), მოამბვიდენ ძაფს (იგულისხმება თოკს), ბრუნვით მოქონდათ წყალი ზეით“. დასახელებულ მაგალითებში **მოდინება** – დინებას, წყალს უკავშირდება.

ტაოურში **მოდინარეა** ერთი შეხედვით წყალს უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ ჩაწერილი ტექსტი სხვა რამეს გულისხმობს, იგი სემანტიკურად „მოდრავს“ ნიშნავს, კერძოდ, საუბარია ძველ გურჯთა გადაადგილებაზე, მოძრაობაზე, საცხოვრისის შეცვლაზე. ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია თურქეთელ ქართველთა ცხოვრებაში. ისინი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არიან დასახლებულნი.

ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში **მოდინება**, **მოდინებული** არ არის განმარტებული, მაგრამ არის **მოდინარეა**, რაც ნიშნავს „მოდრავს“. სწორედ ეს მნიშვნელობა, ანუ, მოძრაობის სემანტიკა ჩანს ტაოურის **მოდენილა** თუ **მოდენილი** ფორმებში.

მოთერძვა ტაოურში „მოხვნას“ ნიშნავს: „აგი კვერია, აგი – უღელი, აგი – სახენელი, მოთერძვიდი (ელიასხევი). იგივე მნიშვნელობა აქვს ამ

ლექსემას ზ. სარჯველაძის ლექსიკონშიც: **თერძვა** = ხვნა. ტაოურში **თერძობა** მკერავობასაც უკავშირდება: „**თერძობა** ვიჯებოდე“ (წითლევეკარი); „ფაბრიკაში შესულან, **თერძობას** იჯებიან“ (ელიასხევი). **მოთერძვა** არ დასტურდება არც შავშურში და არც კლარჯულში. დიალექტურ კორპუსში სამცხურ-ჯავახურში, ხიზაბავრაში (ასპინძა) დადასტურებულია ფორმა **თერძავს**: „ჯერ უნდა მოეხნათ, **თერძავს** უმახდნენ. იემ დროს წავიდოდნენ გარე ყანებში, მოხნენდნენ“ (ქდკ).

ისტორიულად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. ამდენად, ბუნებრივია ამ დარგის ლექსიკის არსებობა დღევანდელ ტაოურ დიალექტშიც.

სამხრულ კილოებში საკმაოდ მრავალფეროვანია ლაპარაკის, საუბრის სემანტიკის გამომხატველი საერთო ლექსიკური ერთეულები, როგორცაა: **ღეჭავს**, **ხვარათობს**, **იარინობს** და სხვ. ტაოს მასალებში ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა **უზარკავს** = ლაპარაკობს; **უბერკავს** – ხვარათობს (ბასლეკარი). ამ ლექსიკური ერთეულის **ზარ**- ძირი შედის სულხან-საბას ლექსიკონში დადასტურებულ ფორმებში: **უზარი** – უზრახი; მოუზარი, **უზრად**; უზრად არის. **უზარკავს**, გარდა ტაოურისა, ვერ დავადასტურეთ სამხრულის სხვა კილოებში.

დამრომა//დამრობა – მოყინვა: ხელები **დამრობია** თამარას გაგზავნილ კაცსა (ელიასხევი). ზუსტად იგივე მნიშვნელობა აქვს **დამრომა//დამრობას** ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში – მოყინვა. შდრ. ყინვისგან დაწვა, **დაზრობა** (საბა). შდრ. **დაზრობა** (სარჯველაძე 2001).

კოდვა – დაჭრა: ცემენტი **მოკვოდვ**, ქვა დავლეწე, ვაშენე (ტაო, ელიასხევი). შდრ.: ძვ. **კოდა**, საბა: **კოდვა**: „რომელმან ცული იყიდა, შეშას კოდა დაუწყო“. 3. [მო]კოდა, (მოუკოდავს) ახორკლიანებს, უსწორ-მასწოროს ხდის ქვის ზედაპირს (წვეტიანი რკინის ცემით). წისქვილის ქვას კოდავს. || ქვის ზედაპირს თლის. „გადახედე იმ მუშასაც, აი მოაჯირს იქით თავგანწირვით რომ ქვასა კოდავს!“ (ი. ეკალ.). შდრ. **მოკოდა** = მოჭრა, მოკვეთა (სარჯველაძე); შდრ. **მოკოდავს** – წისქვილის ქვების პირის მოკვეთება: „წისქვილის **მოკოდვა** ძნელი საქმეა, ყველამ კი არ იცის“ (ქდკ იმერული ლექსიკონი); შდრ. „თუ წისქვილის ქვა გაცვდა, **მოკოდავენ**“ (ქდკ კახური); შდრ.: „თირფანს ან ცელს პირი რომ დუბლაგვდება, ორს ჩარჭობენ მიწაში და ჩაქუჩით გუსტორებენ, **მოკოდავენ** (ქდკ ზემოაჭარული); „კვირაში ერთჯერ მაინც საფქვავე რო გვაქვ მოძალეებული, ქვას **მოკოდვა** უნდა (დაკბილავენ წერაქვით), თორემ ისე არ მოფქვავს“ (ქდკ ზემო-იმერული). **მოკოდვა** მეწისქვილეობას უკავშირდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში და წისქვილის ქვის პირის მოსწორებას ნიშნავს. ტაოურში **მოკოდვა** წისქვილთან დაკავშირებული არ ჩანს, მაგრამ „დაჭრას, მოსწორებას“ (ცემენტის, ქვის...) აღნიშნავს.

საანალიზოდ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ტაოური დიალექტის თავისებურებებზე სასაუბროდ. ტაოს მეტყველებაში დადასტურებულ ფორმათაგან ბევრი არ გვხვდება სხვა სამხრულ კილოებში. ეს კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ტაოურის ლექსიკა სწორედ საერთო ქართული ენის ლექსიკის ერთი დიდი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კლარჯეთი 2016: კლარჯეთი (მონოგრაფია). ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე. რედაქტორი მ. ფაღავა. ბათუმი, 2016.

სარჯველაძე 2001: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი, 2001.

სულხან-საბას ორბელიანი, სიტყვის კონა <http://www.nplg.gov.ge> დამოწმება: 10.07.2021.

ტაო 2020: ტაო (მონოგრაფია). ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე. რედაქტორი მ. ფაღავა. ბათუმი, 2020.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ქდკ: ქართული ენის დიალექტური კორპუსი <http://corpora.co/#/> დამოწმება: 10.07.2021.

შავშეთი 2011: შავშეთი (მონოგრაფია). ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიომვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე. თბილისი, 2011.

ჩიქობავა 1985: ჩიქობავა არნ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1985.